

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის

ბრძანება №2-221

2003 წლის 12 აგვისტო

ქ. თბილისი

„ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის შესახებ“ და „ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ“ დებულებების, „წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის“, „ღვინის ჩამოხარისხების წესის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დაევალა საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოცემა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება „ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის შესახებ“ და ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება „ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ“ და ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

3. (ამოღებულია - 24.04.2012, №2-69).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

4. დამტკიცდეს თანდართული „წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესი“ და ამოქმედდეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან.

5. დამტკიცდეს თანდართული „ღვინის ჩამოხარისხების წესი“ და ამოქმედდეს 2004 წლის 1 იანვრიდან.

6. იურიდიული, კანონშემოქმედებითი და პარლამენტთან ურთიერთობის სამსახურმა (გ. მერაბიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, ხოლო დეპარტამენტმა „სამტრესტმა“ მისი გამოქვეყნება.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს მინისტრის მოადგილემ დ. გრიგოლიამ

ნ. მამალაძე

მინისტრის პირველი მოადგილე

შეტანილია ცვლილებები:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2 -69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

დებულება

ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დებულება „ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის შესახებ“ (შემდგომში – დებულება) შემუშავებულია „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

2. წინამდებარე დებულება არეგულირებს ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელებისა და სპირტების (შემდგომში – ალკოჰოლიანი სასმელები) შესაბამისობაზე სერტიფიკაციის საკითხებს.

3. ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის (შემდგომში – სერტიფიკაციის სისტემა) ძირითადი მიზანია სამომხმარებლო ბაზრის დაცვა უხარისხო, ფალსიფიცირებული და მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საშიში პროდუქციისაგან.

4. სერტიფიკაციის სისტემის ფუნქციონირება ეფუძნება „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

5. სერტიფიკაციის სისტემაში მოქმედი დებულებები და წესები სავალდებულოა შესასრულებლად სერტიფიკაციის ყველა მონაწილისათვის.

6. სერტიფიკაციის სისტემაში მოქმედი დებულებებისა და წესების დაცვით სერტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელების შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ადასტურებს შესაბამისობის სერტიფიკატი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) სერტიფიკაციის სისტემა – სისტემა, რომელსაც აქვს სერტიფიკაციის ჩასატარებლად საჭირო მართვისა და პროცედურების საკუთარი წესები;

ბ) ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემა – სერტიფიკაციის სისტემა, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ პროდუქციას და რომლისთვისაც გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული ნორმები და პროცედურები;

გ) ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემა – ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემა, რომელსაც გააჩნია სერტიფიკაციის ჩასატარებლად საჭირო მართვის საკუთარი წესები და ერთი და იგივე პროცედურები;

დ) სერტიფიკაცია – პროცედურა, რომლის საშუალებითაც სერტიფიკაციის ორგანო წერილობით ადასტურებს, რომ დადგენილი წესით იდენტიფიცირებული სასერტიფიკაციო ალკოჰოლიანი სასმელი შეესაბამება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით (დოკუმენტებით) მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

ე) სერტიფიკაციის სისტემის ცენტრალური ორგანო – სერტიფიკაციის ორგანო, რომელიც ახდენს ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციას და სერტიფიკაციის სისტემის სამუშაოთა ორგანიზებას;

ვ) შესაბამისობის სერტიფიკატი – სერტიფიკაციის სისტემის წესების შესაბამისად გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ დადგენილი წესით იდენტიფიცირებული პროდუქცია შეესაბამება კონკრეტული ნორმატიული დოკუმენტის (დოკუმენტების) მიერ მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

ზ) პროდუქციის იდენტიფიკაცია – პროდუქციის დასახელების, რაოდენობისა და მახასიათებლების შესაბამისობის დადგენა როგორც პროდუქციის თანმდევ, ისე მეწარმის ტექნოლოგიურ წიგნსა და აღრიცხვის სხვა დოკუმენტებში დაფიქსირებულ მონაცემებთან;

თ) (ამოღებულია - 24.04.2012, №2-69);

ი) განმცხადებელი – ალკოჰოლიანი სასმელებზე შესაბამისობის სერტიფიკატის მიღების მსურველი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 3. ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის თავისებურებანი

1. საქართველოში ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელებისა და სპირტების, როგორც ერთგვაროვანი პროდუქციის, სერტიფიკაციის სამუშაოებს ახორციელებს და შესაბამისობის სერტიფიკატებს გაცემს მხოლოდ სერტიფიკაციის ცენტრალური ორგანო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – „სააგენტო)“.

2. შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემაზე გადაწყვეტილების მისაღებად განიხილება სამი აუცილებელი პირობა:

- ა) ანალიტიკური ექსპერტიზის შედეგები;
- ბ) ორგანოლეპტიკური ტესტირების შედეგები;
- გ) ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების წესებისა და რეგლამენტების დაცვის სახელმწიფო კონტროლის შედეგები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 4. ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის მონაწილენი და მათი ფუნქციები

1. სერტიფიკაციის სისტემის მონაწილეებს წარმოადგენენ:

- ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
 - ბ) სააგენტო;
 - გ) აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორია;
 - დ) განმცხადებელი.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია:
- ა) ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის შექმნა;
 - ბ) საქართველოში სავალდებულო სერტიფიკაციას დაქვემდებარებული ალკოჰოლიანი სასმელების ნომენკლატურის დადგენა და იმ ნორმატიული დოკუმენტების განსაზღვრა, რომელთა შესაბამისობაზეც ტარდება ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაცია;
 - გ) სერტიფიკაციის სისტემის ცენტრალური ორგანოს განსაზღვრა;
 - დ) ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის დადგენა;
 - ე) სერტიფიკაციის სისტემის მუშაობაზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;
 - ვ) სერტიფიკაციასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა და მათზე გადაწყვეტილების მიღება.

3. სააგენტო ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- ა) შეიმუშავებს სერტიფიკაციის სისტემის მეთოდურ დოკუმენტებს;
- ბ) შეიმუშავებს წინადადებებს სერტიფიკაციის სისტემისა და სერტიფიკაციისათვის გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტების სრულყოფის შესახებ;
- გ) ადგილწარმოშობის დასახელებისა და მხარის ღვინოების, აგრეთვე ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ბრენდების სერტიფიცირებისას ითვალისწინებს არსებულ ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი მათი წარმოების წესების დაცვის სახელმწიფო კონტროლის შედეგების შესახებ;
- დ) ახორციელებს პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანიზებასა და ჩატარებას, მათ შორის, ალკოჰოლიანი სასმელების ორგანოლეპტიკურ ტესტირებას;

ე) გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატებს;

ვ) ახორციელებს გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის რეგისტრაციას სისტემის რეესტრში;

ზ) სერტიფიცირებულ პროდუქციაზე ახორციელებს საინსპექციო კონტროლს.

4. აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კონკრეტული სასერტიფიკაციო ალკოჰოლიანი სასმელების ანალიტიკური ექსპერტიზის ჩატარება და გამოცდის ოქმის გაცემა.

5. განმცხადებელი ვალდებულია:

ა) ალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაცია მოახდინოს მხოლოდ სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატით;

ბ) შეასრულოს „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

დებულება

ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დებულება „ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ“ (შემდგომში – დებულება) შემუშავებულია „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

2. წინამდებარე დებულება არეგულირებს ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელებისა და სპირტების (შემდგომში – ალკოჰოლიანი სასმელები) შესაბამისობაზე სერტიფიკაციის საკითხებს.

3. ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

4. (ამოღებულია).

5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ალკოჰოლიანი სასმელების საქართველოში იმპორტირებისას, პირდაპირ აღიარებას ექვემდებარება საქართველოსთან ერთად ურთიერთაღიარების შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნების უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატები.

6. სამამულო და იმპორტული წარმოების ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაცია ტარდება ერთი და იგივე წესით.

7. (ამოღებულია).

8. ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციასა და სერტიფიკატების აღიარებასთან დაკავშირებულ კანონით დადგენილ მოსაკრებელს იხდის განმცხადებელი.

9. (ამოღებულია).

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემა (შემდგომში – სერტიფიკაციის სისტემა) – ერთგვაროვანი პროდუქციის სერტიფიკაციის სისტემა, რომელსაც გააჩნია სერტიფიკაციის ჩასატარებლად საჭირო მართვის საკუთარი წესები და ერთი და იგივე პროცედურები;

ბ) სერტიფიკაცია – პროცედურა, რომლის საშუალებითაც სერტიფიკაციის ორგანო წერილობით ადასტურებს, რომ დადგენილი წესით იდენტიფიცირებული სასერტიფიკაციო ალკოჰოლიანი სასმელი შეესაბამება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით (დოკუმენტებით) მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

გ) (ამოღებულია);

დ) შესაბამისობის სერტიფიკატი – სერტიფიკაციის სისტემის წესების შესაბამისად გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ დადგენილი წესით იდენტიფიცირებული პროდუქცია შეესაბამება კონკრეტული ნორმატიული დოკუმენტის (დოკუმენტების) მიერ მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

ე) ალკოჰოლიანი სასმელების იდენტიფიკაცია – ალკოჰოლიანი სასმელების დასახელების, რაოდენობისა და მახასიათებლების შესაბამისობის დადგენა როგორც პროდუქციის თანმდევ, ისე მეწარმის ტექნოლოგიურ წიგნსა და აღრიცხვის სხვა დოკუმენტებში დაფიქსირებულ მონაცემებთან;

ვ) ერთი პარტია – ერთი და იმავე განმცხადებლის მიერ, შესაბამისი წესით გაფორმებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე, ერთი და იმავე მიმღების მისამართით, ერთი და იმავე სახეობის ტრანსპორტით, ერთი და იმავე გამსვლელ-გასაშვები პუნქტიდან გასაგზავნი და საბაჟო ორგანოებისათვის სარეგისტრაციოდ ერთსა და იმავე დროს წარსადგენი ალკოჰოლიანი სასმელების ერთობლიობა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი სატრანსპორტო საშუალებით და სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტით ხდება ტვირთის გადაზიდვა;

ზ) (ამოღებულია);

თ) განმცხადებელი – ალკოჰოლიან სასმელებზე შესაბამისობის სერტიფიკატის მიღების მსურველი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

ი) (ამოღებულია).

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

მუხლი 3. სერტიფიკაციასთან დაკავშირებული სამუშაოები

ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაცია მოიცავს:

- ა) სერტიფიკაციაზე განცხადების წარდგენას;
- ბ) ალკოჰოლიანი სასმელის იდენტიფიკაციას და ნიმუშის აღებას;
- გ) ნიმუშის ანალიტიკურ ექსპერტიზას;
- დ) ნიმუშის ორგანოლეპტიკურ ტესტირებას;
- ე) ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების წესებისა და რეგლამენტების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის შედეგების განხილვას;
- ვ) სერტიფიკატის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებას;
- ზ) სერტიფიკატის რეგისტრაციას და გაცემას;
- თ) სერტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელების საინსპექციო კონტროლს.

მუხლი 4. სერტიფიკაციაზე განცხადების წარდგენა

ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციისათვის განმცხადებელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- ა) განცხადება ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის ჩატარებისა და შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესახებ (დანართი №1);
- ბ) ინფორმაცია სერტიფიკაციის მომენტისათვის იმ ალკოჰოლიანი სასმელების არსებული ნაშთების წარმოშობისა და რაოდენობის შესახებ (დანართი №2), რომელთა სერტიფიკაციასაც ითხოვს განმცხადებელი;

გ) ალკოჰოლიანი სასმელების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, თუ იგი შესყიდულია სხვა მეწარმე სუბიექტისგან.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 5. პროდუქციის იდენტიფიკაცია და ნიმუშის აღება სასერტიფიკაციო გამოცდისათვის

1. სასერტიფიკაციო გამოცდა ტარდება ერთი პარტიიდან აღებულ ნიმუშზე.

2 სტაციონალურ ჭურჭელში, ან კასრში, ან სატრანსპორტო ერთეულში მოთავსებული ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშები აიღება:

ჩამოსასხმელი ალკოჰოლიანი სასმელებისათვის:

– სტაციონალური ჭურჭლისა და სატრანსპორტო ერთეულის შემთხვევაში – ყველა ფენიდან, თანაბარი პორციებით;

– განყოფილებიანი ჭურჭლის შემთხვევაში – თითოეული განყოფილების ყველა ფენიდან, თანაბარი პორციებით;

– კასრის შემთხვევაში – „წერტილოვანი“ მეთოდით, ლივერის ან სიფონის გამოყენებით, კასრის ყველა ფენიდან, თანაბარი პორციებით;

ბ) სამომხმარებლო ტარაში ჩამოსხმული სარეალიზაციო მზა ალკოჰოლიანი სასმელებისათვის – „ბრმად“:

– საწარმოს საწყობში – ჩამოსხმული ერთი პარტიიდან, თითოეული დასახელებისათვის ცალ-ცალკე;

– სატრანსპორტო ერთეულში – ძარაზე მოთავსებული თითოეული დასახელებისათვის ცალ-ცალკე.

3. რამდენიმე ჭურჭელში მოთავსებული ერთი და იმავე დასახელების ჩამოსასხმელი ალკოჰოლიანი სასმელებისათვის შეიძლება გაერთიანებული ნიმუშის აღება.

გაერთიანებული ნიმუშის მისაღებად ცალკეული ჭურჭლებიდან ცალ-ცალკე აღებულ სინჯებს აერთიანებენ და ახდენენ დარევას ერთგვაროვანი ნიმუშის მიღებამდე.

4. ნიმუშები აღებული უნდა იქნეს:

ა) ერთი ჭურჭლის, სატრანსპორტო ერთეულის, ან კასრის შემთხვევაში – 0,7–0,8 დმ³ მოცულობის 6 ბოთლის ან 0,5 დმ³ ტევადობის 9 ბოთლის ოდენობით;

ბ) გაერთიანებული ნიმუშის აღების შემთხვევაში – არანაკლებ 6,0 დმ³ – სა, რომელიც შემდგომში ჩასხმული უნდა იყოს 0,7–0,8 დმ³ მოცულობის 6 ბოთლში ან 0,5 დმ³ ტევადობის 9 ბოთლში.

ამასთან, რამდენიმე კასრიდან გაერთიანებული ნიმუშის აღებისას, თითოეული კასრიდან სინჯი აიღება კასრის მოცულობის პროპორციულად, იმ ანგარიშით, რომ საერთო ნიმუშის მოცულობა იყოს არანაკლებ 6,0 დმ³-სა;

გ) სამომხმარებლო ტარაში ჩამოსხმული სარეალიზაციო მზა ალკოჰოლიანი სასმელების შემთხვევაში – თითოეული დასახელების 0,7–0,8 დმ³ მოცულობის 6 ბოთლის ან 0,5 დმ³ ტევადობის 9 ბოთლის, მაგრამ არანაკლებ თითოეული დასახელების 6,0 დმ³-ის ოდენობით.

5. ჩამოსასხმელი ალკოჰოლიანი სასმელების ბოთლებში ჩასხმულ ნიმუშებს ხუფავენ საცობით და ბოთლის ყელს ლუქავენ ბეჭდით, ხოლო სამომხმარებლო ტარაში ჩამოსხმული სარეალიზაციო მზა ალკოჰოლიანი სასმელების ბოთლის ყელს ლუქავენ ბეჭდით.

6. ბოთლები ისე უნდა იყოს დახუფული, ხოლო მათი ყელი დალუქული ბეჭდით, რომ ვიზუალურად ადვილი შესამჩნევია იყოს მათი ხელყოფის ფაქტი.

7. ნიმუშის აღებაზე დგება ნიმუშის აღების აქტი სამ ეგზემპლარად (დანართი № 3), რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- ა) აქტის შედგენის ადგილი და თარიღი;
- ბ) ნიმუშის აღებაში მონაწილე პირები;
- გ) ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებლის ან მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები;
- დ) თითოეული ალკოჰოლიანი სასმელის დასახელება და საერთო რაოდენობა ცალ-ცალკე, რომელთა ნიმუშებიც არის აღებული;
- ე) თითოეული ჭურჭლის ან კასრის სახეობა, ტევადობა და ნომერი, რომლიდანაც აღებულია ნიმუში.

გაერთიანებული ნიმუშის აღების შემთხვევაში, თითოეული დასახელებისათვის მიეთითება ყველა იმ ჭურჭლის ან კასრის სახეობა, ტევადობა და ნომერი, რომლებიდანაც აღებულია გაერთიანებული ნიმუში;

ვ) აღებული ნიმუშების ბოთლების რაოდენობა და მოცულობა თითოეული დასახელებისათვის ცალ-ცალკე;

ზ) დალუქული ნიმუშების ბოთლებზე დასმული ბეჭდის ან ლუქის აღწერა.

8. სამომხმარებლო ტარაში ჩამოსხმული სარეალიზაციო მზა ალკოჰოლიანი სასმელების შემთხვევაში, ნიმუშის აღების აქტში აღინიშნება აგრეთვე:

- ა) სამომხმარებლო ტარის სახეობა და მოცულობა;
- ბ) ჩამოსხმის თარიღი.

9. ნიმუშის თითოეულ ბოთლს ეკრობა ეტიკეტი, რომელზეც მითითებული უნდა იყოს:

- ა) ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებლის (მიმწოდებლის) დასახელება;
- ბ) ალკოჰოლიანი სასმელის დასახელება და რაოდენობა.

სატრანსპორტო ერთეულის მარაზე მოთავსებულ პარტიაში შემავალი ალკოჰოლიანი სასმელებისათვის – ცალ-ცალკე, რომელთა ნიმუშებიც არის აღებული;

დ) ტარის, მათ შორის სამომხმარებლო ტარის, სახეობა, მოცულობა, რაოდენობა და ნომერი, რომლიდანაც აღებულია ნიმუში;

ე) ნიმუშის აღების თარიღი.

10. ეტიკეტს ხელს აწერენ ნიმუშის აღებაში მონაწილე პირები.

11. (ამოღებულია).

12. ნიმუშები ინახება კონკრეტული ალკოჰოლიანი სასმელისათვის ნორმატიულ -ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებში.

13. ნიმუშის აღებას, ნიმუშის აღებას, დალუქვას და ნიმუშის აღების პროცედურის დოკუმენტირებას ახორციელებს განმცხადებელი, რომელიც პასუხისმგებელია ნიმუშის აღების პროცედურების კეთილსინდისიერად განხორციელებაზე.

14. ნიმუშის აღებას უნდა უსწრებდეს ალკოჰოლიანი სასმელების პარტიის იდენ ტიფიკაცია, რომლის შედეგებიც უნდა აისახოს ნიმუშის აღების აქტში.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

მუხლი 6. ანალიტიკური ექსპერტიზა

1. ადგილწარმოშობის დასახელების ღ ვინოების ანალიტიკური ექსპერტიზის მიზნით განმცხადებელმა ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშები, ნიმუშების აღების აქტთან ერთად, უნდა წარადგინოს აკრედიტირებულ საგამოცდო ლაბორატორიაში – 0,75 ლიტრ ან მეტი ტევადობის ბოთლების შემთხვევაში – 5 ბოთლი, ხოლო ნაკლები ტევადობის ბოთლების შემთხვევაში იმდენი ბოთლი, რომ მათი ჯამური რაოდენობა არ იყოს 4,0 ლიტრზე ნაკლები, საიდანაც 2 ბოთლი,

ლაბორატორიის მიერ, ლაბორატორიის გამოცდის ოქმთან ერთად, გადაეცემა სააგენტოსთან არსებულ სადეგუსტაციო კომისიას. დანარჩენი ღვინოების ანალიტიკური ექსპერტიზის მიზნით საგამოცდო ლაბორატორიას წარედგინება 3 ბოთლი, ხოლო ნაკლები ტევადობის ბოთლების შემთხვევაში იმდენი ბოთლი, რომ მათი ჯამური რაოდენობა არ იყოს 2 ლიტრზე ნაკლები.

2. საგამოცდო ლაბორატორიები ახორციელებენ ალკოჰოლიანი სასმელების ანალიტიკურ ექსპერტიზას და არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა გასცემენ ანალიტიკური გამოცდის ოქმებს. ლაბორატორია ვალდებულია უზრუნველყოს ექსპერტიზისათვის წარგენილი ნიმუშების შენახვა 18 თვის განმავლობაში.

3. სააგენტოს მიერ სერტიფიკატის გაცემის შემდგომ, თუ აღმოჩნდება, რომ სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშების გამოცდის შედეგები არ ემთხვევა მწარმოებლის/ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილი ლაბორატორიული გამოცდის ოქმის მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში, ჩატარდება რეფერენტული ლაბორატორიული გამოცდა.

4. თუ მწარმოებელმა/განმცხადებელმა ლაბორატორიას წარუდგინა სერტიფიცი რებულ პარტიაში განთავსებული პროდუქციის შესაბამისი ნიმუში, ხოლო ლაბორატორიამ გასცა ყალბი ან არასწორი ოქმი, ლაბორატორიას დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობა.

5. თუ მწარმოებელმა/განმცხადებელმა ლაბორატორია ას წარუდგინა სერტიფიცირებულ პარტიაში განთავსებული პროდუქციისაგან განსხვავებული ნიმუში, მწარმოებელს/განმცხადებელს დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობა.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში რეფერენტული ლაბორატორიული გამოცდის ხარჯებს ანაზღაურებს ყალბი ან არასწორი ლაბორატორიული ოქმის გამცემი ლაბორატორია.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში რეფერენტული ლაბორატორიული გამოცდის ხარჯებს ანაზღაურებს მწარმოებელი/განმცხადებელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 7. ორგანოლეპტიკური ტესტირება

1. ორგანოლეპტიკური ტესტირებისათვის სადეგუსტაციო კომისიას წარედგინება ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშები და საგამოცდო ლაბორატორიის მიერ გაცემული გამოცდის ოქმი. წარდგენილი ნიმუშები უნდა იყოს 0,75 ლიტრი, ხოლო მეტი ტევადობის ბოთლების შემთხვევაში – 2 ბოთლი. 0,75 ლიტრზე ნაკლები ტევადობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს იმდენი ბოთლი, რომ მათი ჯამური რაოდენობა არ იყოს 1,5 ლიტრზე ნაკლები. კომისია სასმელების ნიმუშს ინახავს ერთი წელი, რის შემდეგაც დალუქული ნიმუში დაუბრუნდება მწარმოებელს.

2. ორგანოლეპტიკური ტესტირება ტარდება მხოლოდ ანალიტიკური ექსპერტიზის დადებითი შედეგების შემთხვევაში.

3. სააგენტო უზრუნველყოფს ორგანოლეპტიკური ტესტირების ანონიმურობას.

4. ნიმუშის ორგანოლეპტიკური ტესტირება ტარდება ფერზე, გამჭირვალობაზე, ექსტრაქტულობაზე, გემოზე, არომატზე, ტიპურობასა და საერთო შთაბეჭდილებაზე.

5. დეგუსტაცია სავალდებულოა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების შესაბამისობის სერტიფიკატის გასაცემად, ხოლო დანარჩენ ღვინოებზე დეგუსტაცია ნებაყოფლობითია და ხორციელდება მწარმოებლის/განმცხადებლის დაკვეთის საფუძველზე.

6. ალკოჰოლიანი სასმელების ორგანოლექტიკურ ტესტირებას ახორციელებენ დადგენილი წესით აკრედიტებული სასერტიფიკაციო ორგანოს მიერ სერტიფიცირებული დეგუსტატორები. დეგუსტატორს უნდა ჰქონდეს მეღვინე-ტექნოლოგის განათლება და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

7. სადეგუსტაციო კომისიის წევრების სიას, რომლებიც მონაწილეობენ სადეგუსტაციო კომისიაში, წარადგენს სააგენტოს თავმჯდომარე, ხოლო ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი. დეგუსტატორების შრომის ანაზღაურება ხორციელდება სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

8. ტესტირებაზე გასატანი ნიმუშების რაოდენობის მიხედვით, კონკრეტულ სადეგუსტაციო დღეს სააგენტომ შეიძლება ერთდროულად ჩაატაროს რამოდენიმე სადეგუსტაციო კომისიის სხდომა, რომლებიც თავის საქმიანობას წარმართავენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

9. სადეგუსტაციო კომისიის თითოეული წევრი, რომელიც მონაწილეობს ტესტირებაში, ავსებს სადეგუსტაციო ფურცელს, სადაც ტესტირების შედეგს აფიქსირებს შემდეგი 2 აღნიშვნით:

ა) შეესაბამება;

ბ) არ შეესაბამება.

უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დეგუსტატორმა უნდა მოიყვანოს შესაბამისი დასაბუთება.

10. ორგანოლექტი კური ტესტირების შედეგები ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს თითოეული ნიმუშის ტესტირების შედეგი.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 7¹. სადეგუსტაციო კომისიის მუშაობის წესი

1. სადეგუსტაციო კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი. კომისიის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს მეღვინე-ტექნოლოგის განათლება და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

2. სადეგუსტაციო კომისია შედგება 6 დეგუსტატორისაგან (წევრისაგან).

3. კომისიის საქმიანობის ორგანიზებას ახდენს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც უზრუნველყოფს დეგუსტაციის მთელი პროცესის ანონიმურობის სრულ დაცვას.

4. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია:

ა) მიიღოს და შეინახოს ნიმუშები;

ბ) მოამზადოს ნიმუშები ტესტირებისათვის და უზრუნველყოს ანონიმურობის მიზნით ნიმუშების კოდირება;

გ) მოიწვიოს დეგუსტატორები ტესტირებისათვის;

დ) შეაჯამოს ტესტირების შედეგები, გააფორმოს ოქმი და გადასცეს სააგენტოს თავმჯდომარეს;

ე) გააფრთხილოს კომისიის წევრები სავარაუდო დეგუსტაციის ჩატარების დროზე სულ ცოტა 2 დღით ადრე მაინც და გამოიძახოს კომისიის წევრები როტაციის პრინციპით;

ვ) უზრუნველყოს კომისიის წევრთა მუდმივი ცვლა;

ზ) უზრუნველყოს დეგუსტატორების მუდმივი სწავლება;

თ) დაადგინოს ნიმუშების თანამიმდევრობა;

ი) დაიცვას გამოსაცდელი ნიმუშების მწარმოებლის და ასევე სადეგუსტაციო კომისიის თითოეული წევრის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ანონიმურობა;

კ) შექმნას სადეგუსტაციო კომისიის შედეგების მონაცემთა დაცული ბაზა.

5. კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სადეგუსტაციო კომისიაში მონაწილეობის მისაღებად;

ბ) დეგუსტაციის მიმდინარეობისას თავი შეიკავოს კომისიის სხვა წევრებთან საუბრისაგან ანდა სხვა რაიმე ფორმით მინიშნებისაგან კომისიის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.

6. სადეგუსტაციო კომისია თავისი საქმიანობის პროცესში უზრუნველყოფილია ამისათვის სპეციალურად აღჭურვილი სადეგუსტაციო დარბაზით. კომისიის თითოეულ წევრს წინასწარ გადაეცემა სადეგუსტაციო ფურცლები (დანართი №7), რომელშიც მითითებულია:

ა) ნიმუშის ნომერი (სადეგუსტაციო ნომერი);

ბ) ვაზის ჯიშში;

გ) მოსავლის წელი;

დ) ღვინის ტიპი;

ე) ღვინის ფერი;

ვ) ხარისხის ჯგუფი.

7. სადეგუსტაციო დარბაზში არსებული კაბინ ები ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ დეგუსტატორები ერთმანეთს ვერ ხედავდნენ.

8. კომისია თითოეული ნიმუშის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დეგუსტატორების ხმათა უმრავლესობით.

9. ნიმუში ხელახლა სადეგუსტაციოდ გავა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) კომისიის დადებითი და უარყოფითი ხმების რაოდენობა თანაბრად გაიყოფა;

ბ) კომისიის ყველა წევრი სათითაოდ დაიწუნებს ნიმუშს, რომლის დაწუნების საფუძველი იქნება საცობის ტონი.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი შემთხვევების დროს ნიმუში შეიძლება განმეორებით წარმოდგენილ იქნეს დეგუსტაციაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაინტერესებული მხარე თავად წარმოადგენს წერილობით განცხადებას ღვინის გამოცდის გადავადების თაობაზე.

11. შესანახი ნიმუშის გახარჯვის შემთხვევაში, სადეგუსტაციო კომისია უფლებამოსილია მწარმოებელს მოსთხოვოს იგივე პარტიიდან დამატებითი ნიმუშის წარმოდგენა.

12. ერთი და იგივე სახის ღვინო, იგივე ჩამოსხმის ნომრით, შესაძლებელია წარმოდგენილი ოყოს იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას მოითხოვს დაინტერესებული მხარე.

13. კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით, საფუძვლიანი ეჭვის ან შესაბამისი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში ტარდება განმეორებითი ტესტირება კომისიის სხვა შემადგენლობის მიერ.

14. განმეორებითი ტესტირება ხორციელდება კომისიის სხვა შემადგენლობის მიერ პირველი ტესტირებიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა. განმეორებითი ტესტირების ხარჯებს აანაზღაურებს დაინტერესებული ინიციატორი მხარე.

15. დეგუსტაციისათვის ღვინოების მომზადების პროცედურა მოიცავს:

ა) ნიმუშების ტემპერირებას, დეკანტაციას და ნეიტრალური ბოთლით კომისიისთვის წარდგენას და სადეგუსტაციოდ გამზადებულ ღვინის სადეგუსტაციო ნომერის მინიჭებას;

ბ) დეგუსტაციაზე ნიმუშების მაქსიმალური რაოდენობაა 50 ნიმუში. დეგუსტაცია ტარდება ყოველკვირეულად სამშაბათსა და ხუთშაბათს. საჭიროების შემთხვევაში, სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს სხვა დამატებით დღეს. ნიმუშების ორგანოლეპტიკური შეფასების შედეგები და ორგანოლეპტიკური ტესტირების ოქმი გაიცემა დეგუსტაციის მომდევნო დღეს.

16. ღვინის დეგუსტაცია იწყება თეთრი მშრალი ღვინოებით. ყოველ დეგუსტატორს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 4 ცალი სადეგუსტაციო ჭიქა, ერთი ბოთლი ნეიტრალური გემოსი და არომატის მქონე წყალი (ნაკლები ნახშირორჟანგით, ან მის გარეშე), ნეიტრალური გემოსი და არომატის პური.

17. დეგუსტაციის დაწყებისას, კომისიის თავმჯდომარე ასახელებს ნომერს და იმ მონაცემს, რაც დაგუსტატორებისთვის განკუთვნილ სადეგუსტაციო ფურცლებში (დანართი №7) უკვე შეტანილია.

18. თითოეული დეგუსტატორი ნიმუშის ორგანოლეპტიკური შემოწმების შემ დგომ აკეთებს ჩანაწერს სადეგუსტაციო ფურცელში (დანართი №7), სადაც ასევე აღნიშნება მისი ხელმოწერა და თარიღი.

19. დეგუსტაციაზე ღვინოები ისინჯება შემდეგი თანამიმდევრობით: თეთრი მშრალი, წითელი მშრალი, თეთრი ნახევრად მშრალი, თეთრი ნახევრად ტკბილი, თეთრი ტკბილი, წითელი ნახევრად მშრალი, წითელი ნახევრად ტკბილი, წითელი ტკბილი, შემაგრებული, სპეციალური ღვინოები და მაგარი სასმელები.

20. თუ ღვინო შეესაბამება მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ასეთ შემთხვევაში, დეგუსტატორი აირჩევს გრაფას „შეესაბამება“, ხოლო თუ სხვადასხვა მიზეზის გამო ღვინო არ აკმაყოფილებს მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, დეგუსტატორი ვალდებულია გრაფის „არ შეესაბამება“ აღნიშვნის შემდგომ გრაფებში „არატიპური“ და „არაპარმონიული“ გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნა, ხოლო გრაფაში „შენიშვნა“ მიუთითოს ამ გადაწყვეტილების მიზეზები.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 8. სერტიფიკატის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღება

1. ლაბორატორიული გამოცდისა და ორგანოლეპტიკური ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით, ალკოჰოლიანი სასმელების, მათ შორის, ადგილწარმოშობის დასახელებისა და მხარის ღვინოების, აგრეთვე ადგილწარმოშობის დასახელების შემაგრებული ღვინოების, ღვინის ბრენდების წარმოების წესებისა და რეგლამენტების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის შედეგების შესახებ სააგენტოში არსებული საინფორმაციო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, სააგენტოს ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას სერტიფიკატის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

2. უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სააგენტო განმცხადებელს წერილობით აცნობებს დასაბუთებას უარის თქმის შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 9. შესაბამისობის სერტიფიკატი, მისი გაფორმების, რეგისტრაციისა და გაცემის წესი

1. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სააგენტო განმცხადებელს გადასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს (დანართი №4), რომელსაც წინასწარ ატარებს რეესტრში.

შესაბამისობის სერტიფიკატში მითითებული უნდა იყოს მისი გაცემის საფუძველი.

განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისობის სერტიფიკატს დანართის სახით შეიძლება დაერთოს ანალიტიკური გამოცდის ოქმის ასლი.

2. ერთ შესაბამისობის სერტიფიკატში შეიძლება ფიგურირებდეს ერთი ან რამდენიმე დასახელების ალკოჰოლიანი სასმელი. სერტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელების დასახელებათა რაოდენობის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, გაგრძელება შეიძლება განხორციელდეს სერტიფიკატის მეორე გვერდზე.

3. შესაბამისობის სერტიფიკატი ფორმდება კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით, ტოპოგრაფიული წესით დაბეჭდილი ისეთი ფერადი ბლოკპერფექტული ფონის საქართველოს სახელმწიფო დროშისა და სააგენტოს სასაქონლო ნიშნის მქონე A4 ფორმატის ქაღალდზე, რომელზეც

მექანიკური ან ქიმიური წესით გაკეთებული ჩასწორებები ან დოკუმენტის ფალსიფიცირების მცდელობა ვიზუალურად შესამჩნევი ხდება.

4. შესაბამისობის სერტიფიკატის გაფორმება ხდება ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე, საჭიროების მიხედვით, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი არის ფერადი, ხოლო დანარჩენი ორი – თეთრი.

5. ერთი ფერადი და ერთი თეთრი ეგზემპლარი გადაეცემა განმცხადებელს, ხოლო ერთი თეთრი ეგზემპლარი, დანართთან ერთად, რჩება სააგენტოში, დაერთვის შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის თაობაზე განმცხადებლის განცხადებასა და მის მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებს და ინახება სააგენტოში სერტიფიკატის მოქმედების ვადის გასვლიდან არა ნაკლებ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

6. ფერადი შესაბამისობის სერტიფიკატი წარმოდგენს ძირითად დოკუმენტს.

7. შესაბამისობის სერტიფიკატის თითოეული ეგზემპლარი დამოწმებული უნდა იქნეს სააგენტოს ბეჭდითა და უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერით, რის შემდეგაც იგი შედის ძალაში.

8. ადგილწარმოშობის დასახელების ალკოჰოლიანი სასმელების შემთხვევაში, განმცხადებლის თხოვნით, სააგენტო შესაბამისობის სერტიფიკატთან ერთად განმცხადებელს გადასცემს თითოეული ალკოჰოლიანი სასმელის გამოცდის ნომერს.

9. იმ შემთხვევაში, თუ სასერტიფიკაციო ალკოჰოლიანი სასმელი განკუთვნილია ევროგაერთიანების ქვეყნებში ექსპორტისათვის, სააგენტოს მიერ გაიცემა VI 1 ფორმის სერტიფიკატი (დანართი №5), რომლის მე -10 გრაფას ავსებს სააგენტო, ხოლო მე -11 გრაფას, რომელშიც აისახება ალკოჰოლიანი სასმელის ანალიტიკური ექსპერტიზის შედეგები – აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორია. აღნიშნული გრაფები დამოწმებული უნდა იქნეს სააგენტოსა და ლაბორატორიის ბეჭდითა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირთა ხელმოწერებით.

10. შესაბამისობის სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრება 18 თვით.

11. სააგენტო ვალდებულია ორგანოლექტიკურ ტესტირებაზე ნიმუშების მიღებიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში დაამთავროს სერტიფიკაციის პროცედურები და დეკლარანტს გადასცეს შესაბამისობის სერტიფიკატი ან მოტივირებული წერილობითი უარი.

12. სააგენტოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი რეესტრში აკეთებს ჩანაწერს შესაბამისობის სერტიფიკატის ნომრისა და გაცემის თარიღის შესახებ.

13. (ამოღებულია).

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 10. საინსპექციო კონტროლი

1. ალკოჰოლიანი სასმელების სერტ იფიცირებულ პარტიაზე წესდება საინსპექციო კონტროლი, რომელიც ხორციელდება შემთხვევითი შერჩევის წესით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ექსპორტიორი ვალდებულია სერტიფიცირებული პარტიის საექსპორტოდ გამზადების შესახებ ექსპორტის განხორციელებამდე 3 დღით ადრე შეატყობინოს სააგენტოს, რის შემდგომაც სააგენტოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება რეფერენტული ლაბორატორიული გამოცდისათვის ნიმუშების აღების თაობაზე.

3. ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილი ნიმუშების შემოწმების მიზნით სააგენტო და სურსათის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, შესაბამისი სერტიფიცირებული პარტიიდან აიღოს ნიმუშები და გადასცეს ლაბორატორიული გამოცდისათვის, შეადაროს ექსპორტიორის მიერ წარმოდგენილ

ნიმუშს, შეტყობინებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. აღნიშნული ვადის ამოწურვამდე დაუშვებელია სერტიფიცირებული პარტიის ექსპორტი ან ბაზარზე სხვაგვარად განთავსება.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 11. საზღვარგარეთის ქვეყნებში გაცემული სერტიფიკატების აღიარება

1. საქართველოში იმპორტირებულ ალკოჰოლიან სასმელებზე საზღვარგარეთის იმ ქვეყნებში გაცემული სერტიფიკატების აღიარება, რომელსაც საქართველოსთან გაფორმებული აქვს ორმხრივი ხელშეკრულება ან ორივე ქვეყანა სერტიფიკატების ურთიერთაღიარების შესახებ გაფორმებული მრავალმხრივი ხელშეკრულების მონაწილეა, მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

ა) საზღვარგარეთის კონკრეტულ ქვეყანაში გაცემული სერტიფიკატის აღიარებაზე განმცხადებლის განცხადების და მასზე დართული დოკუმენტების წარდგენას;

ბ) მიღებული დოკუმენტების ანალიზს;

გ) ალკოჰოლიანი სასმელების იდენტიფიცირებას;

დ) გადაწყვეტილების მიღებას საზღვარგარეთის კონკრეტულ ქვეყანაში გაცემული სერტიფიკატის აღიარების შესაძლებლობის, დასაბუთებული უარის თქმის ან/და სერტიფიკაციის შეთავაზებული პროცედურის შესახებ;

2. საზღვარგარეთის ქვეყანაში გაცემული სერტიფიკატის საქართველოში აღიარებას ადასტურებს მისი და მასზე თანდართული დოკუმენტების საფუძველზე სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი.

3. საზღვარგარეთის ქვეყანაში გაცემული სერტიფიკატის აღიარების პირობას წარმოადგენს იმპორტირებული ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკატში მითითებული ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა ჰარმონიულობა იგივე კატეგორიის ალკოჰოლიანი სასმელების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

4. იმ სერტიფიკატის აღიარებისათვის, რომელიც გაცემულია სერტიფიკაციის იმ სისტემათა ფარგლებში, რომელთანაც მიერთებულია საქართველო ან დადებული აქვს შეთანხმება სერტიფიკატების ურთიერთაღიარებაზე, განმცხადებელი სააგენტოში წარადგენს განცხადებას სერტიფიკატის აღიარებაზე და სერტიფიკატის გამცემი ორგანოს მიერ დამოწმებული სერტიფიკატის ასლს.

5. საზღვარგარეთის ქვეყანაში გაცემული სერტიფიკატის საქართველოში აღიარების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემა და რეგისტრაცია წარმოებს დამატებითი პროცედურების გარეშე.

6. სააგენტოს მიერ მიღებული დოკუმენტების განხილვა და ალკოჰოლიანი სასმელების იდენტიფიკაცია, წინამდებარე დებულებით დადგენილი წესების დაცვით, უნდა ჩატარდეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და გადაწყვეტილება ეცნობოს განმცხადებელს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

1. მე -7 მუხლის მე -6 პუნქტი ამოქმედდეს აკრედიტაციის ცენტრის მიერ პროფესიონალ დეგუსტატორთა სერტიფიკაციის განმახორციელებელი ორგანოს აკრედიტაციის შემდეგ.

2. პრო ფესიონალ დეგუსტატორთა სერტიფიკაციის განმახორციელებელი ორგანოს აკრედიტაციამდე ალკოჰოლიანი სასმელების ორგანოლექტიკური ტესტირება განხორციელდეს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ერთობლივი პროექტის „ღვინის ხარისხის სისტემის შექმნის“ ფარგლებში მომზადებული დეგუსტატორების მიერ.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

დანართი №1

ღვინის ეროვნულ სააგენტოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის ჩატარებისა

და შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის შესახებ

განმცხადებლის სრული დასახელება _____

განმცხადებლის რეკვიზიტები _____

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, _____

გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი _____

ხელმძღვანელის სახელი და გვარი _____

გავეცანით დებულებას „ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ“. ვადასტურებთ რა წინამდებარე განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ნამდვილობასა და მათში მოყვანილი მონაცემების სისწორეს, ვიღებთ ვალდებულებას შევასრულოთ სერტიფიკაციის პირობები, უზრუნველვყოთ სერტიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელების მახასიათებლების სტაბილურობა და გადავიხადოთ კანონით დადგენილი ყველა მოსაკრებელი, გთხოვთ ჩაატაროთ სერტიფიკაცია ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისობაზე და გაცეთ შესაბამისობის სერტიფიკატი ქვემოთ ჩამოთვლილ ალკოჰოლიან სასმელებზე:

№	პროდუქციის დასახელება, კატეგორია, ტიპი და მოკლე დახასიათება	ზომის ერთ.	რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1.				
2.				
3.				
4.				
5.				

6.				
7.				
8.				
9.				
10.				

განმცხადებლის ხელმოწერა

„_____” _____ 20 წ.

ბ.ა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - კებგვერდი, 30.04.2012წ.

დანართი №2

ღვინის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებლის დასახელება _____

რეკვიზიტები _____

ინფორმაცია

სასერტიფიკაციო ალკოჰოლიანი სასმელების წარმოშობისა და ნაშთების შესახებ

(დეკალიტრი)

№	ალკოჰოლიანი სასმელის დასახელება	კატეგორია, ტიპი, ფერი	მოსავლის წელი (დღი-ნისათვის)	ნაშთი 01.01.20	შემოსავალი საანგარიშო პერიოდში		გასავალი საანგარიშო პერიოდში		ნაშთი სერტიფიკაციაზე განცხადების წარდგენის დღისათვის
					საკუთარი წარმოშობის	შეძენილი	რეალიზაცია	ჩამოხარისხებ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1.									
2.									

3.									
4.									
5.									
6.									
7.									
8.									
9.									
10.									
11.									
12.									
13.									
14.									
15.									
16.									

განმცხადებლის ხელმოწერა

„-----“ ----- 20 წ. ბ.ა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - კეზგვერდი, 30.04.2012წ.

დანართი №3

ნიმუშის აღების

აქტი №

----- „-----“-----20 წ.

აქტის შედგენის ადგილი

„ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად -----

საწარმოს დასახელება

თანამშრომლების-----

თანამდებობა, სახელი, გვარი

მიერ მოხდა ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქციის იდენტიფიკაცია და ნიმუშების აღება სასერტიფიკაციო გამოცდისათვის, ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ დებულების შესაბამისად.

აღებული ნიმუშები დაილუქა ლუქით, -----
აღწერა

№	ალკოჰოლიანი სასმელის დასახელება კატეგორია, ტიპი, ფერი	მოსავლ. წელი ჩამოსხმ. თარიღი	რაოდენობა ერთ პარტიაში		ჭურჭლის სახეობა, ნომერი, ტევადობა	აღებულია ნიმუში		შენიშვნა
			განზ. ერთ.	რაოდენ. ობა		ბოთლის ტევად. ობა	რაოდენ. ობა	
1.								
2.								
3.								
4.								
5.								
6.								
7.								
8.								
9.								
10.								
11.								
12.								
13.								
14.								
15.								
16.								

ნიმუშის ამღებთა ხელმოწერა საწარმოს ხელმძღვანელი ბეჭდის ადგილი

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - კვებვერდი, 30.04.2012წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების სერტიფიკაციის სისტემა

ღვინის ეროვნული სააგენტო

საქართველო 0159. ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 6, ტელ. 2 37 80 52 ;2 37 80 22. 2106018

შესაბამისობის სერტიფიკატი N GE-0000

გაცემის თარიღი “—” —20 წელი

მოქმედების ვადა 20— წლის “—” —დან 20— წლის “—” —მდე

წინამდებარე სერტიფიკატი ადასტურებს, რომ შესაბამისი წესით იდენტიფიცირებული, ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქცია:

№	ალკოჰოლიანი სასმელის დასახელება, კატეგორია, ტიპი, ფერი	პროდუქტის კოდი	სესსნ კოდი	რაოდენობა		შენიშვნა
				განზ. ერთ.	რაოდ.	
1.						
2.						
3.						
4.						
5.						
6.						
7.						

შეესაბამება შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს:

განმცხადებელი:

დამამზადებელი საწარმო (მიმწოდებელი):

სერტიფიკატის გაცემის საფუძველი:

1. ანალიტიკური გამოცდის /ნომერი და გაცემის თარიღი/, გაცემული საგამოცდო

ლაბორატორიის მიერ /საგამოცდო ლაბორატორიის დასახელება/

2. ორგანოლეპტიკური გამოცდის ოქმი /ნომერი და გაცემის თარიღი/

3. მეღვინეობის პრაქტიკაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წარმოების

წესებისა და რეგლამენტების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის შედეგები

რეგისტრირებულია რეესტრში: № — „— ” —20 — წ.

თავმჯდომარე —

ხელმოწერა

ბ.ა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

დანართი №4^ა

МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА ГРУЗИИ

СЕРТИФИКАЦИОННАЯ СИСТЕМА ПРОДУКТОВ ВИНОГРАДНОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ

„Национальное агентство вина“

СЕРТИФИКАТ СООТВЕТСТВИЯ №_____

Дата выдачи “_____” _____ 20 год

Срок действия с “_____” 20 года по “_____” 20 год

Настоящий сертификат подтверждает, что перечисленная ниже продукция, идентифицирована соответственно правилу

№	Наименование алкогольного напитка, категория, тип, цвет	Код продукции	Код ТНВЭД	Количество		Протокол испытания №
				Единица измерения	Количество	
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						

Соответствует следующим нормативным документам:

Заявитель:

Предприятие- изготовитель (поставщик)

Основание выдачи сертификата:

Протокол аналитических испытаний /номер и дата выдачи/

Протокол органолептических испытаний /номер и дата выдачи/

Результаты Государственного Контроля за соблюдением правил и регламентов производства, установленным грузинским законодательством в практике виноделия

Зарегистрирован в реестре №_____ “_____” _____ 20 год

Председатель _____

подпись

м. п.

საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

THIRD COUNTRY OF ISSUE: GEORGIA			
1. Exporter	VI 1 Serial №:		
	DOCUMENT FOR THE IMPORTATION OF WINE, GRAPE JUICE OR GRAPE MUST INTO THE EUROPEAN COMMUNITY		
2. Consignee	(1) Obligatory only for wines benefiting from a reduced customs tariff (2) Delete as appropriate (3) Put an "X" in the appropriate place		
3. CUSTOMS STAMP (1)			
4. Means of transport (1)			
5. Place of unloading (1)			
6. Marks and reference numbers – number and nature of packages – Description of product	7. Quantity in l/hl/kg		
	8. number of bottles		
	9. Color of product		
10. CERTIFICATE The product described above is not intended for direct human consumption, complies with the conditions governing Production and entry into circulation applying in the COUNTRY of origin of the product and, if intended for direct human consumption, has not been subjected to oenological practices which are not permitted under current Community provisions relating to the import of the product in question <table border="1"> <tr> <td> Full name and address of the official agency: „NATIONAL WINE AGENCY” №6, Marshal Gelovani Ave. Tbilisi, Georgia 0159 Tel: 2378052,2378022,2106018 </td> <td> Place & date : Tbilisi, Georgia Stamp </td> </tr> </table>		Full name and address of the official agency: „NATIONAL WINE AGENCY” №6, Marshal Gelovani Ave. Tbilisi, Georgia 0159 Tel: 2378052,2378022,2106018	Place & date : Tbilisi, Georgia Stamp
Full name and address of the official agency: „NATIONAL WINE AGENCY” №6, Marshal Gelovani Ave. Tbilisi, Georgia 0159 Tel: 2378052,2378022,2106018	Place & date : Tbilisi, Georgia Stamp		
11. ANALYSIS REPORT Describing the analytical characteristics of the product described above FOR GRAPE MUST AND GRAPE			

JUICE : density.
 FOR WINE AND GRAPE MUST
 STILL IN FERMENTATION :
 Total alcoholic strength : vol % Actual alcoholic strength : vol %

FOR ALL PRODUCTS :
 Total dry Total acidity : g/l Reducing sugars: g/l Volatile acidity : 0,71 g/l
 extract : g/l
 Citric Total sulfur dioxide :
 acidity : g/l mg/l

(3) presence absence of products obtained from varieties resulting from interspecific crossing (direct producer hybrids)
 other varieties not of the species Vitis vinifera.

Full name and address of the official laboratory:	Place & date :
	Stamp

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2 -69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

დანართი №6

ძალადაკარგულია – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ III, 01.08.2007, №108, მუხ.1203

დანართი №7

სადეგუსტაციო ფურცელი
 დეგუსტატორი _____

№	ხარისხის ჯგუფი/ადგილი რმოშობა	მოსა ვლის წელი	ღვინის		ვა ზის ხიში	შ ეესა ბამე ბა	არ შეესა ბამე ბა	არ ატი ური	არაპ არმონი ული	საცობის გემო	შენიშვნა
			ფერი	ტიპი							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

ხელმოწერა: _____ თარიღი: _____ 200 წ.
 საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2007 წლის 31 ივლისის ბრძანება №2-115 - სსმ

**საგამოცდო ლაბორატორიების აკრედიტაციის წესი
(ამოღებულია - 24.04.2012, №2-69)**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და არეგულირებს საქართველოდან საექსპორტო ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტებზე (შემდგომში – პროდუქცია) წარმოშობის სერტიფიკატების გაცემის საკითხებს.

2. წინამდებარე წესის დებულებები ჰარმონიზებულია საქართველოს საბაჟო კოდექსის, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის, აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ“ წესის, 1996 წლის 20 სექტემბრის მსო-ს ურუგვაის რაუნდის („მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობები“) წარმოშობის წესების შესახებ შეთანხმების, „ღვინის საერთო ბაზრის ორგანიზების შესახებ“ ევროკომისიის (EC) №1493/1999 რეგლამენტის და შემდგომი დამატებების მოთხოვნებთან.

3. ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პროდუქციაზე წარმოშობის სერტიფიკატების გაცემას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

4. სააგენტოსთან უთანხმოების შემთხვევაში, განმცხადებელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ან გამოიყენოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

5. პროდუქციაზე წარმოშობის სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირე ბულ კანონით დადგენილ მოსაკრებელს იხდის განმცხადებელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიკატი – სერტიფიკაციის სისტემის წესების შესაბამისად გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ დადგენილი წესით იდენტიფიცირებული პროდუქცია შეესაბამება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მიერ მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს;

ბ) პროდუქციის წარმოშობის სერტიფიკატი – პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დადგენილი წესით იდენტიფიცირებული პროდუქციის წარმოშობის ქვეყნის ვინაობას;

გ) პროდუქციის იდენტიფიკაცია – პროდუქციის დასახელებისა და მახასიათებლების შესაბამისობის დადგენა პროდუქციის თანმდევ და მეწარმის ტექნოლოგიურ წიგნში დაფიქსირებულ მონაცემებთან;

დ) პროდუქციის წარმოშობის ქვეყანა – ქვეყანა, სადაც პროდუქცია მთლიანად იქნა წარმოებული ან მოხდა მისი საბოლოო და საკმარისი დამუშავება/გადამუშავება;

ე) პროდუქციის ნომენკლატურა – ევროგაერთიანების (EБ) კომბინირებული სატარიფოსტატისტიკური ნომენკლატურისა და საქონლის აღრიცხვისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის ბაზაზე დსთ-ს ქვეყნებში მიღებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (?? ??? - სესსნ);

ვ) ექსპერტიზის აქტი – პროდუქციის წარმოშობის ქვეყნის დადგენის მიზნით წინამდებარე დებულების თანახმად ჩატარებული სამუშაოების შედეგი – შესაბამისი წესით გაფორმებული დასკვნა;

ზ) განმცხადებელი – საექსპორტო პროდუქციაზე წარმოშობის სერტიფიკატის მიღების მსურველი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

თ) პროდუქციის ერთი პარტია – ერთი და იმავე განმცხადებლის მიერ, შესაბამისი წესით გაფორმებული ერთი და იმავე ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე, ერთი და იმავე მიმღების მისამართით, ერთი და იმავე სახეობის ტრანსპორტით, ერთი და იმავე გამსვლელ-გასაშვები პუნქტიდან გასაგზავნი და საბაჟო ორგანოებისათვის სარეგისტრაციოდ ერთსა და იმავე დროს წარსადგენი პროდუქციის ერთობლიობა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი სატრანსპორტო საშუალებით და სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტით ხდება ტვირთის გადაზიდვა;

მუხლი 3. წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის ზოგადი პირობები

1. წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის საფუძველს წარმოადგენს განმცხადებლის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ (შემდგომში – განმცხადებელი) ხელმოწერილი წერილობითი განცხადება წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის თაობაზე. წერილობითი განცხადება შეიძლება გაკეთდეს სააგენტოს მიერ შემუშავებული და წინასწარ დაბეჭდილი ფორმის ბლანკზე (დანართი №1) ან განმცხადებლის სატიტულო ფურცელზე.

2. განმცხადებლის განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) განმცხადებლის დასახელება და რეკვიზიტები (საფირმო დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონისა და ფაქსიმილური კავშირის ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საგადასახადო ინსპექციის საიდენტიფიკაციო კოდი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);

ბ) პროდუქციის მიწოდების საწყისი პუნქტის დასახელება და მისამართი;

გ) პროდუქციის მიმღების დასახელება და რეკვიზიტები;

დ) ხელშეკრულების (კონტრაქტის) ნომერი და გაფორმების თარიღი;

ე) ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) ნომერი და გაფორმების თარიღი;

ვ) პროდუქციის ჩამონათვალი, ასორტიმენტისა და რაოდენობების მითითებით;

ზ) პროდუქციის მიწოდებისათვის გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალების სახეობა.

3. პროდუქციის სახეობისა და იმპორტის ქვეყანაში დადგენილი წესების გათვალისწინებით, განცხადებასთან ერთად განმცხადებელი წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ცნობას სამეურნეო წლის 1-ლი იანვრისა და საექსპორტო პროდუქციაზე წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე განცხადების წარდგენის მომენტისათვის პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეულის ნაშთების წარმოებაში არსებობის, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდში პროდუქციის რეალიზაციის შესახებ, ცალკეული დასახელებების, მოსავლის წლისა და რაოდენობების მითითებით.

ის საწარმო, რომელიც მზა სასაქონლო პროდუქციას ქმნის სხვა საწარმოებში პერიოდულად შესყიდული ნედლეულით, წარმოადგენს აღნიშნული ნედლეულის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს.

თუ საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს საბითუმო ან საცალო ვაჭრობის ქსელში შესყიდული პროდუქცია, წარმოადგენილი უნდა იქნეს შესყიდვის დოკუმენტებისა და შესყიდვის ადგილას არსებული პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიკატის ასლები;

- ბ) პროდუქციის თითოეული დასახელების ნიმუშს თითო ბოთლის რაოდენობით.
- გ) სერტიფიკატის გაცემისათვის კანონით დადგენილი მოსაკრებლის გადახდის ქვითარს.
4. წარმოშობის სერტიფიკატის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასა და მათში მოყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს.
5. განმცხადებლის განცხადება და მასზე დართული ყველა დოკუმენტი ინახება წარმოშობის სერტიფიკატის გამცემ ორგანოში 3 (სამი) წლის განმავლობაში.
6. სააგენტოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი განმცხადებლის განცხადებას ატარებს სპეციალურ სარეგისტრაციო წიგნში (შემდგომში – რეესტრი), სადაც შეაქვს შემდეგი მონაცემები:
- ა) განმცხადებლის დასახელება და რეკვიზიტები;
 - ბ) პროდუქციის მიმღების დასახელება და რეკვიზიტები;
 - გ) ხელშეკრულების (კონტრაქტის) ნომერი და გაფორმების თარიღი;
 - დ) პროდუქციის სახეობა (სახეობები);
 - ე) იმ წარმოშობის სერტიფიკატის ფორმის დასახელება, გაცემის თარიღი, ნომერი და ეგზემპლარების რაოდენობა, რომელიც შემდგომში სააგენტოს მიერ იქნა გაცემული;
 - ვ) განმცხადებლის ხელმოწერა, რითაც დასტურდება მის მიერ წარმოშობის სერტიფიკატის მიღება.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2 -69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.*

მუხლი 4. პროდუქციის წარმოშობის ქვეყნის დადგენის ზოგადი პირობები

1. პროდუქციის წარმოშობის ქვეყნის დადგენის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენს აღნიშნულ ქვეყანაში პროდუქციის მთლიანად წარმოების ან ამ ქვეყანაში მისი საბოლოო და საკმარისი დამუშავება/გადამუშავების ფაქტი.
2. პროდუქცია ითვლება მთლიანად საქართველოში წარმოებულად, თუ მასში გამოყენებულია მხოლოდ საქართველოში წარმოებული ნედლეული.
3. თუ გარკვეული ტექნიკურ-ტექნოლოგიური (დამუშავება/გადამუშავება) პროცესების შედეგად საქართველოში წარმოებული საბოლოო პროდუქციის დამზადებისას გამოიყენება დსთ-ს რომელიმე ქვეყანაში ან ქვეყნებში (შემდგომში – ქვეყანა) წარმოებული ნედლეული ან პროდუქცია, რომლებმაც აღნიშნულ ქვეყანაში გაიარეს პერიოდული დამუშავება/გადამუშავება და რომელთა წარმოშობაც დადასტურებულია ამ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ST-1 ფორმის წარმოშობის სერტიფიკატით, ამ შემთხვევაში პროდუქციის წარმოშობის ქვეყნად ითვლება საქართველო.
- ST-1 ფორმის წარმოშობის სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში, პროდუქციის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა ხდება მისი საბოლოო და საკმარისი დამუშავება/გადამუშავების კრიტერიუმის გამოყენებით.
4. თუ საქართველოში წარმოებული საბოლოო პროდუქციის დამზადებისას გამოიყენება რომელიმე (არა დსთ-ს ან არა მარტო დსთ-ს) სხვა ქვეყანაში წარმოებული და საქართველოში იმპორტირებული ნედლეული ან პროდუქცია (შემდგომში – იმპორტირებული ნედლეული), საქართველოს, როგორც პროდუქციის წარმოშობის ქვეყნის, განსაზღვრა ხდება მისი საბოლოო და საკმარისი დამუშავება/გადამუშავების კრიტერიუმის გამოყენებით, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს შემდეგი ორი ძირითადი შემთხვევით:
- ა) თუ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში (სესსნ) დამუშავება/გადამუშავების შედეგად პროდუქციის სასაქონლო პოზიციის პირველი 4 ნიშნიდან იცვლება თუნდაც ერთი;
 - ბ) საბოლოო პროდუქციაში წილობრივი მონაწილეობის წესით (შემდგომში – წილობრივი მონაწილეობის წესი), როდესაც არა დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტირებული და პროდუქციის

წარმოებისას გამოყენებული ნედლეულის ღირებულება საბოლოო პროდუქციის ფასში არ აღემატება დადგენილ ფიქსირებულ პროცენტულ განაკვეთს.

საქართველოში წარმოებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (სესსნ) 2106 – 2208 სასაქონლო პოზიციების რიგი საექსპორტო პროდუქცია (ყურძნის ტკბილი, ნატურალური ღვინოები, მ.შ. შემავარგებული, ვერმუტები და სხვა ნატურალური ყურძნის ღვინოები მცენარეული ან არომატული ექსტრაქტების დამატებით, სხვა დადუღებული სასმელები, ყურძნისეული დისტილატები და მათი შემცველი ლიქიორები და სხვა სპირტიანი სასმელები, სასმელების დასამზადებლად გამოყენებადი სპირტიანი ნახევარფაბრიკატები), რომლის წარმოებისას გამოიყენებული იქნა არა დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტირებული მასალები, წილობრივი მონაწილეობის წესით, ჩაითვლება საქართველოში წარმოშობილად, თუ გარკვეული სასაქონლო ნომენკლატურის მქონე საბოლოო პროდუქციის ღირებულებაში იგივე სასაქონლო ნომენკლატურის პოზიციების იმპორტირებული მასალების ღირებულება არ აღემატება 50%-ს.

ტარა-შესაფუთი და სხვა დამხმარე მასალები, რომლითაც ხდება პროდუქციის შეტანა იმპორტის ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე, ითვლება იგივე ქვეყანაში წარმოშობილად, საიდანაც თვით პროდუქცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტარაშესაფუთი და სხვა დამხმარე მასალები ექვემდებარება დეკლარირებას პროდუქციისაგან განცალკევებით.

5. თუ პროდუქციის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრისას გამოიყენება წილობრივი მონაწილეობის წესი, მაშინ არა დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტირებული ნედლეულისა და საბოლოო პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება:

ა) იმპორტირებული ნედლეულისათვის – საბაჟო ღირებულების მიხედვით, რომელიც დაფიქსირებული იქნა მათი შემოტანისას საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ხდება საბოლოო პროდუქციის წარმოება;

ბ) საბოლოო პროდუქციისათვის – პროდუქციის ფასის შესაბამისად, გამყიდველის „ფრანკო-საწარმო“ („ფრანკო-საწყობი“) პირობით.

6. პროდუქციის წარმოშობის ქვეყნის დადგენის პირობები, აგრეთვე პროდუქციის მთლიანად წარმოებისა და საბოლოო და საკმარისი დამუშავება/გადამუშავების ცნებების განსაზღვრის კრიტერიუმები რეგლამენტირებულია წინამდებარე წესის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული, აგრეთვე საქართველოს მონაწილეობით გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებითა და მიღებული საერთაშორისო ნორმებით.

მუხლი 5. წარმოშობის სერტიფიკატი, მისი გაფორმების, რეგისტრაციისა და გაცემის წესი

1. სააგენტო პროდუქციაზე გასცემს შემდეგი ფორმის წარმოშობის სერტიფიკატებს (დანართები №2, №3):

ა) ფორმა „CT-1“ – გაიცემა დსთ-ის ქვეყნებში საექსპორტო პროდუქციაზე (ივსება რუსულ ენაზე);

ბ) თავისუფალი ფორმის – გაიცემა დსთ-ს ქვეყნების გარდა სხვა ქვეყნებში საექსპორტო პროდუქციაზე (ივსება ინგლისურ ენაზე);

2. წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა საექსპორტო პროდუქციის ყოველ ერთ პარტიაზე.

3. წარმოშობის სერტიფიკატი ფორმდება კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით, ტიპოგრაფიული წესით დაბეჭდილი ისეთი ფერადი ბლოკპერფექტული ფონისა და სააგენტოს სასაქონლო ნიშნის მქონე A4 ფორმატის (210 მმ X 297მმ) ქაღალდზე, რომელზეც მექანიკური ან ქიმიური წესით გაკეთებული ჩასწორებები ან დოკუმენტის ფალსიფიცირების მცდელობა ვიზუალურად შესამჩნევი ხდება.

4. წარმოშობის სერტიფიკატის გაფორმება ხდება კონკრეტულ ფორმაში არსებული გრაფების მოთხოვნათა შესაბამისად, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი არის ფერადი, ხოლო დანარჩენი ორი – თეთრი. ერთი ფერადი და ერთი თეთრი ეგზემპლარი გადაეცემა განმცხადებელს, ხოლო ერთი

თეთრი ეგზემპლარი რჩება სააგენტოში და დაერთვის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის თაობაზე განმცხადებლის განცხადებასა და მის მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებს.

5. ფერადი წარმოშობის სერტიფიკატი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს.

6. საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებლის განცხადების საფუძველზე, დამატებით შეიძლება გაცემული იქნეს წარმოშობის სერტიფიკატის კიდევ ერთი თეთრი ეგზემპლარი.

7. წარმოშობის სერტიფიკატის თითოეული ეგზემპლარი დამოწმებულ უნდა იქნეს სააგენტოს ბეჭდითა და თავმჯდომარის ხელმოწერით, რის შემდეგაც წარმოშობის სერტიფიკატი შედის ძალაში.

8. წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სააგენტოს უფლებამოსილი პირი განმცხადებელს გადასცემს დადგენილი წესით გაფორმებულ წარმოშობის სერტიფიკატის ეგზემპლარებს და შესაბამის ჩანაწერს აკეთებს რეესტრში. განმცხადებლის მიერ შესაბამისი რაოდენობის წარმოშობის სერტიფიკატის მიღება დასტურდება რეესტრში მისი ხელმოწერით.

9. წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა განმცხადებლის განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10. წარმოშობის სერტიფიკატის მოქმედების ვადას შეადგენს 12 (თორმეტი) თვე მისი გაცემის მომენტიდან.

11. წარმოშობის სერტიფიკატის დაზიანები ს ან დაკარგვის შემთხვევაში, განმცხადებლის განცხადების საფუძველზე, სააგენტო გასცემს ოფიციალურად დამოწმებულ დუბლიკატს.

12. წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე უარყოფითი გადაწყვეტილება უნდა იყოს მოტივირებული, რის შესახებაც შესაბამისი ჩანაწერი კეთდება რეესტრში. განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ სააგენტო მას აცნობებს წერილობით.

13. განმცხადებლის მიერ წარმოშობის სერტიფიკატის გამოუყენებლობის შემთხვევაში, მას არ უბრუნდება სერტიფიკატის მისაღებად გადახდილი თანხა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - კვებვერდი, 30.04.2012წ.

დანართი №1

ღვინის ეროვნულ სააგენტოს

განცხადება

საქართველოდან საექსპორტო ყურძნისეული წარმოშობის პროდუქციაზე წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის შესახებ

გავცანით დებულებას „საქართველოდან საექსპორტო ყურძნისეული წარმოშობის პროდუქციაზე წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის შესახებ“ და, ვადასტურებთ რა წინამდებარე განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ნამდვილობასა და მათში მოყვანილი მონაცემების სისწორეს, გთხოვთ გასცეთ წარმოშობის სერტიფიკატი ქვემოთ ჩამოთვლილ პროდუქციაზე, მითითებული ეკვიზიტების გათვალისწინებით:

განმცხადებლის სრული დასახელება _____

განმცხადებლის რეკვიზიტები _____

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, _____

გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი _____

ხელმძღვანელის სახელი და გვარი _____

მიწოდების საწყისი პუნქტის დასახელება და რეკვიზიტები _____
 მიმღების დასახელება და რეკვიზიტები _____

ხელშეკრულების (კონტრაქტის) ნომერი და თარიღი _____
 ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) ნომერი და თარიღი _____ პროდუქცია
 არმოებულია ჩვენ მიერ, წარმოებულია სხვის მიერ, შესყიდულია ქსელში.
 სატრანსპორტო საშუალების სახე _____
 საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალი:

№	პროდუქციის დასახელება და მოკლე დახასიათება	ზომის ერთ.	რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				

განმცხადებლის ხელმოწერა
 “_____” _____ 20 წ. ბ.ა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი,
 30.04.2012წ.

დანართი №2

Отправитель/экспортер (Наименование и почтовый адрес)		4. № GE – Сертификат происхождения товара Форма СТ-1 Выдан в Грузии (наименование страны) Для представления в _____ (наименование страны)		
Получатель/импортер (Наименование и почтовый адрес)				
Средства транспорта и маршрут следования (насколько это известно)		5. Для служебных отметок		
6. №	7. Количество мест И вид упаковки	8. Описание товара	9. Вес брутто/нетто (кг)	10. Номер дата счет- фактуры

11. Удостоверение Настоящим удостоверяется, что декларация заявителя соответствует действительности „Национальное агентство вина“ Грузия 0159, г.Тбилиси, Пр. Маршала Гелована № 6, Тел: 2 37 80 52, 2 37 80 22, 2 10 60 18		12. Декларация заявителя Нижеподписавшийся заявляет, что все вышеприведенные сведения соответствуют действительности, что все товары полностью произведены или подвергнуты достаточной переработке _____ – (наименование страны) и что все они отвечают требованиям происхождения, установленным в отношении таких товаров		
Подпись Дата Печать		Подпись Дата Печать		

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

დანართი №3

1. Exporter (name, address, country)		ORIGIN ^o AL No.	
2. Consignee (name, address, country)		CERTIFICATE OF ORIGIN ISSUED In GEORGIA	
3. Means of transport and route		4. For official use	
5. COUNTRY of origin		6. Supplementary details	
7. Item number	8. Description of goods	9. number and kind of packages	10. Gross weight or other quantity

11. Certification It is hereby certified, that the declaration by the exporter is correct „NATIONAL WINE AGENCY” №6, Marshal Gelovani Ave. Tbilisi, Georgia 0159 Tel: 2378052,2378022,2106018	12. Declaration by the exporter The undersigned hereby declares that the above details and statements are correct; that the goods are of origin of the COUNTRY shown in box №. 5; that the goods are exported to _____ _____ (importing country)
Place, date, signature, name and stamp of certifying authority	Place, date, stamp and signature of authorised signatory

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - კებგვერდი, 30.04.2012წ.

ღვინის ჩამოხარისხების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „ვაზისა და ღვინის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე და არეგულირებს სპეციფიკურ ზონებში წარმოებული ადგილწარმოშობის დასახელების და მხარის ატესტირებული ღვინოების (შემდგომში – ატესტირებული ღვინო) ხარისხის უფრო დაბალ კატეგორიაში გადაყვანის (შემდგომში – ჩამოხარისხების) საკითხებს.

2. ატესტირებული ღვინის ჩამოხარისხება ღვინის მწარმოებლის ინიციატივით ხორციელდება ღვინის მწარმოებლისა და ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის სისტემის ცენტრალური ორგანოს – ღვინის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შესაბამისი აქტის გაფორმებითა და წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურების ჩატარებით. გაუარესებული ხარისხის ატესტირებული ღვინის სააგენტოს ცალმხრივი გადაწყვეტილებით ჩამოხარისხების პირობები ჩამოყალიბებულია წინამდებარე წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში.

3. ატესტირებული ღვინის ჩამოხარისხებაზე გაფორმებული აქტის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებები შეიტანება ღვინის მწარმოებლის „ტექნოლოგიურ წიგნში” და სააღრიცხვო დოკუმენტებში, აგრეთვე სავალდებულო შეტყობინების წესის შესაბამისად სააგენტოში შემოსული ინფორმაციების საფუძველზე არსებულ მონაცემებში.

4. აკრძალულია შესაბამისი ხარისხის ატესტირებული ღვინისათვის განკუთვნილი რაიმე აღნიშვნის გამოყენება (ეტიკეტზე, კონტრეტიკეტზე ან სასაქონლო სახის მქონე სარეალიზაციო მზა ღვინის გაფორმების სხვა ელემენტებზე, ყუთზე, რეესტრში, აგრეთვე ოფიციალურ, კომერციულ და სხვა სახის დოკუმენტებში) იმ ღვინისათვის, რომელიც იქნა ჩამოხარისხებული.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - კებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 2. ატესტირებული ღვინის ჩამოხარისხების საფუძველები

1. ატესტირებული ღვინის ხარისხის გაუარესების შემთხვევაში იგი ექვემდებარება ჩამოხარისხებას.

2. ატესტირებული ღვინის ხარისხის გაუარესებაში იგულისხმება წარმოების, შენახვის, დავარგების, ტრანსპორტირების ან რეალიზაციის ნებისმიერ ეტაპზე მისი ერთი ან რამდენიმე ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის და/ან ორგანოლექტიკური მახასიათებლის იმდენად

გაუარესება, რომ იგი აღარ შეესაბამება ატესტირებული ღვინისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რისი გამოსწორებაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული ტექნიკურ-ტექნოლოგიური მეთოდებითა და ხერხებით მიუღწეველია.

3. ატესტირებული ღვინის ჩამოხარისხების ინიციატორი შეიძლება იყოს:

- ა) სააგენტო ან კონტროლის უფლების მქონე სხვა ორგანო;
- ბ) თვით ღვინის მწარმოებელი (შემდგომში – მწარმოებელი).
- გ) ღვინის მფლობელი ან რეალიზატორი;
- დ) ღვინის მომხმარებელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 3. ღვინის ჩამოხარისხებასთან დაკავშირებული პროცედურა

ატესტირებული ღვინის ჩამოხარისხების პროცედურა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- ა) ჩამოხარისხებაზე განცხადების, ან ღვინის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებით შეტყობინების (ინფორმაციის) ან პრეტენზიის (შემდგომში – განცხადება) მიღებასა და განხილვას;
- ბ) გაუარესებული ხარისხის ატესტირებული ღვინის საკონტროლო ნიმუშების აღებასა (მიღებას, თუ ხარისხის გაუარესება მოხდა საქართველოს ფარგლებს გარეთ ტერიტორიაზე) და მისი გამოცდების (ანალიტიკური ექსპერტიზა და ორგანოლექტიკური ტესტირება) ჩატარებას, მწარმოებლის თანდასწრებით (მისი სურვილის შემთხვევაში);
- გ) შედეგების განხილვას მწარმოებელთან ერთად;
- დ) გადაწყვეტილების მიღებას ღვინის ჩამოხარისხების თაობაზე, აქტის გაფორმებით;
- ე) შესაბამისი ცვლილებების შეტანას მწარმოებელთან და სააგენტოში არსებულ დოკუმენტებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 4. ჩამოხარისხებაზე განცხადების მიღება და განხილვა

1. ატესტირებული ღვინის ჩამოხარისხების პროცედურის დაწყების საფუძველს წარმოადგენს:

- ა) სააგენტოს ან კონტროლის უფლების მქონე სხვა ორგანოს ინიციატივა – აღნიშნული ორგანოების მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული ან მიღებული ინფორმაცია (პრეტენზია) და/ან გაუარესებული ხარისხის ატესტირებული ღვინის ნიმუშები;
- ბ) მწარმოებლის ინიციატივა – მწარმოებლის მიერ ხელმოწერილი წერილობითი განცხადება სააგენტოში, ატესტირებული ღვინის ჩამოხარისხების პროცედურის დაწყების თაობაზე;
- გ) ატესტირებული ღვინის მფლობელის ან რეალიზატორის, აგრეთვე მომხმარებლის განცხადება სააგენტოში მის მიერ შესყიდული (მასთან სარეალიზაციოდ არსებული) ღვინის ხარისხის გაუარესებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ.

2. თუ ღვინის ჩამოხარისხების პროცედურა იწყება მისი მწარმოებლის ან მფლობელის (რეალიზატორის) ინიციატივით, წერილობითი განცხადება კეთდება მის სატიტულო ფურცელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

- ა) განმცხადებლის დასახელება და რეკვიზიტები;
- ბ) ატესტირებული ღვინის დასახელება და ატესტირების თარიღი, მოსავლის წელი, ღვინის შესყიდვის (მფლობელობაში გადასვლის) და/ან სარეალიზაციოდ მიღების თარიღი და რაოდენობა, მისი რაოდენობა ჩამოხარისხების თაობაზე განცხადების გაკეთების მომენტისათვის, ჩამოხარისხების მიზეზები.

თუ ხარისხის გაუარესება მოხდა საქართველოს ფარგლებს გარეთ ტერიტორიაზე, მაშინ განცხადებას უნდა დაერთოს გაუარესებული ხარისხის მქონე ღვინის ნიმუშები ანალიტიკური ექსპერტიზისა და ორგანოლეპტიკური ტესტირებისათვის;

გ) განმცხადებლის მზადყოფნა სრულად შეასრულოს ჩამოხარისხების პირობები, აანაზღაუროს ჩამოხარისხების პროცედურასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასა და მათში მოყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მათ წარმომდგენს.

5. განცხადება, მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე ჩამოხარისხებასთან და ჩატარებულ პროცედურებთან დაკავშირებული ყველა სხვა დოკუმენტი, ჩამოხარისხებაზე შემდგარი აქტის ერთ პირთან ერთად, ინახება სააგენტოში.

6. სააგენტოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი განცხადებას ატარებს სპეციალურ სარეგისტრაციო წიგნში (შემდგომში – რეესტრი), სადაც შეაქვს შემდეგი მონაცემები:

ა) განმცხადებლის დასახელება და რეკვიზიტები;

ბ) განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი (განცხადებაზე დართული ნიმუშების ზოგადი აღწერით);

გ) მიღებული გადაწყვეტილება ატესტირებული ღვინის ჩამოხარისხების თაობაზე.

7. ატესტირებული ღვინის ხარისხის გაუარესების თაობაზე მოპოვებულ ინფორმაციას ან მიღებულ განცხადებას განიხილავს სააგენტოს ხელმძღვანელობა, აღნიშნულის შესახებ წინასწარ კონსულტაციებს ატარებს მწარმოებელთან, ღვინის ჩამოხარისხების პროცედურის დაწყების ან მაკორექტირებელი ღონისძიებების ჩატარების თაობაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.

მუხლი 5. ღვინის ნიმუშების აღება და გამოცდების ჩატარება

გაუარესებული ხარისხის ატესტირებული ღვინის საკონტროლო ნიმუშების აღება და გამოცდები (ანალიტიკური ექსპერტიზა და ორგანოლეპტიკური ტესტირება) ტარდება მწარმოებლის თანდასწრებით, „ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიკაციის წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნათა სრული დაცვით.

მუხლი 6. ღვინის გამოცდების შედეგების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

1. გაუარესებული ხარისხის ატესტირებული ღვინის გამოცდების შედეგებს იხილავს სააგენტოს ხელმძღვანელობა მწარმოებელთან ერთად.

2. გამოცდების უარყოფითი შედეგების შემთხვევაში, თუ ღვინის ჩამოხარისხების ინიციატორია:

ა) თვით მწარმოებელი, მაშინ მიიღება გადაწყვეტილება ღვინის ჩამოხარისხების შესახებ, რაც, შესაბამისად, აისახება გაფორმებულ აქტში;

ბ) სააგენტო ან კონტროლის უფლების მქონე სხვა ორგანო ან მფლობელი (რეალიზატორი), ან მომხმარებელი, მაშინ მწარმოებლის ინიციატივით, მას შეიძლება მიეცეს გარკვეული პერიოდი გამოვლენილი შეუსაბამოების გამოსწორების მიზნით მაკორექტირებელი ღონისძიებების გასატარებლად, რისთვისაც მწარმოებელი შეიმუშავებს სპეციალური ტექნიკურ-ტექნოლოგიური ღონისძიებების გეგმას და ათანხმებს სააგენტოსთან. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, კვლავ ტარდება ღვინის გამოცდები დადგენილი პროცედურის მიხედვით.

3. ღვინის ხარისხის გამოსწორების მიზნით მწარმოებლის მიერ სპეციალური მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, კვლავ უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში, სააგენტო ცალმხრივად იღებს გადაწყვეტილებას ღვინის ჩამოხარისხების პროცედურის დაწყების თაობაზე, რომლის პირობების შესრულებაც მწარმოებლის მიერ სავალდებულოა.

4. გაუარესებული ხარისხის ატესტირებული ღვინის მიმართ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებები შედის მწარმოებელთან და სააგენტოში არსებულ დოკუმენტებში.

5. საქართველოს ფარგლებს გარეთ ტერიტორიაზე არსებული გაუარესებული ხარისხის ატესტირებულ ღვინოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები აუცილებლად ეცნობება განმცხადებელსა და იმ მაკონტროლებელ ტერიტორიულ ორგანოს, რომლის მოქმედების ზონაშიც იმყოფება გაუარესებული ხარისხის ატესტირებული ღვინო;

6. მწარმოებელსა და ღვინის მფლობელს (რეალიზატორს) შორის წარმოქმნილი სადაო საკითხები წყდება მათ შორის გაფორმებული კონტრაქტის (ხელშეკრულების) პირობებისა და ამ საკითხში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 24 აპრილის ბრძანება №2-69 - ვებგვერდი, 30.04.2012წ.